საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლაშა თავართქილაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	86	100

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

თარიღი: 27.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზაზა ხარებავა

ლაშა თავართქილაძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ლაშა თავართქილაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის მიხედვით: ,,საბჭოს წევრები, ამ კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით, 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. აღნიშნულ შეფასებებსა და დასაბუთებებში მიეთითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა"

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
ე) ფინანსური ვალდებულება.

2. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერის უნარი;
დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ზ) პროფესიული აქტივობა.

ხოლო „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

3. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

4. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ) პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, განვახორციელე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციის შესწავლა, ორგანული კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით შეფასება და შესაბამისი დასაბუთება.

<table>
<tr><th>მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</th><th></th><th>დასაბუთება</th></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td><td rowspan="3">უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ ლაშა თავართქილაძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას დავეყრდენი ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მასზე მოძიებულ და აგრეთვე კანდიდატთან გამართულ საჯარო გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციას.

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები კანდიდატს კეთილსინდისიერ, თავმდაბალ, სიმართლისმოყვარე, საქმისადმი ერთგულ პიროვნებად ახასიათებენ. კანდიდატი კეთილსინდისიერად, გამჭვირვალედ და ჯეროვანი სიზუსტით ასრულებს სამსახურეობრივ და სამოქალაქო ვალდებულებებს, რაც მისი ფინანსური ვალდებულებებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, კერძოდ: ლაშა თავართქილაძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია (შეინიშნება მცირედი ჯარიმებიც). კანდიდატს სამი წლის განმავლობაში უფიქსირდება მხოლოდ ერთი ავტოსაგზაო წესების დარღვევის ფაქტი, რომელზეც დადგენილი ჯარიმა გადახდილი აქვს დროულად.
კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ იგი, პატიოსანი მოსამართლე და მოქალაქეა, არის კეთილსინდისიერი და გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, არის სიმართლისმოყვარე.
მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლაშა თავართქილაძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☒</td></tr>
</table>

		2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა: კანდიდატის მიმართ წარმოდგენილ რეკომენდაციებში, რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი. საჯარო მოსმენის პროცესშიც კანდიდატმა მის მიმართ დასმული ყოველი საკითხი განიხილა დამოუკიდებელი, ობიექტური მსჯელობით, შესაბამისი ანალიზისა და არგუმენტაციის გათვალისწინებით. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. კანდიდატის შესახებ წარმოდგენილი მასალისა და საჯარო მოსმენის შედეგად ვთვლი, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია სამოსამართლო ვალდებულებების შესრულებისას, სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებს ჯეროვნად, არის პრინციპული, შეუვალი. იკვეთება, რომ იგი თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისაგან და დისკრიმინაციული მიდგომებისაგან, დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, რაც აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და იყოს ზეგავლენის მიმართ მედეგი. მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლაშა თავართქილაძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:** რეკომენდატორების აზრით, კანდიდატი (როგორც მოსამართლე) არის კორექტული, თავაზიანი, ტოლერანტული, თავდაჭერილი, იცავს ეთიკის წესებს და საზოგადოებაშიც გამოირჩევა მოსამართლის შესაბამისი ქცევით. კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ ლაშა თავართქილაძის მიმართ დისციპლინური ან სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი საინფორმაციო ბანკის მონაცემებით, მოსამართლე საანგარიშო პერიოდში ერთხელ არის

		დაჯარიმებული, ავტოსაგზაო წესის დარღვევის გამო. საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატი თავდაჭერილი, ზრდილობიანი, კორექტულია. ვლინდება, რომ იგი იცავს სამოსამართლო ეთიკას, არის კორექტული კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას. მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლაშა თავართქილაძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:** კანდიდატის შესახებ რეკომენდაციებისა და კითხვარების ფორმების, მასზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს შრომისმოყვარე, სამართლიანი, კარგი პროფესიული კომპეტენციის მქონე პიროვნებისა და მოსამართლის სახელით. რეკომენდატორები უთითებენ, რომ ლაშა თავართქილაძე სარგებლობს კარგი ავტორიტეტით კოლეგებსა და საზოგადოებაში. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს არ აღნიშნავენ. კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია მის მიერ განხილულ რამდენიმე საქმის შესახებ, აგრეთვე მისი მოსამართლედ დანიშვნის, უვადოდ განწესების და უზენაეს სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის, როგორც დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნების მიმართ ჩამოყალიბებული აზრის საწინააღმდეგო რაიმე დადგენილი ფაქტი, ან ობიექტური მოსაზრება არ გამოვლენილა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლაშა თავართქილაძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს.

			5. ფინანსური ვალდებულება: კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობით ირკვევა, რომ წარმოდგენილ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები, კანდიდატის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ არ არსებობს საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლაშა თავართქილაძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. ამდენად, კანდიდატთან გასაუბრების პროცესში და არც მასზე მოძიებული მასალებში არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ლაშა თავართქილაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**დასაბუთება**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**16**	**20**	კანდიდატის სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას ვიხელმძღვანელე უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, იუსტიციის

			უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობით. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული ოთხი გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილება: - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 4 მაისის დადგენილება, საქმე N4/3070-18 (ასკ-ის 159-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი). - ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N3/223-15 (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება). - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 9 დეკემბრის დადგენილება, საქმე N4/ა-889-19 (ასკ-ის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი). - ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N3/532-15 (ქმედების განხორციელების დავალება) კანდიდატმა გასაუბრებისას, მეტწილად გამოავლინა მისი სპეციალიზაციის სფეროს ცოდნა, კანდიდატმა იმსჯელა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში სასამართლოს ჩარევის საკანონმდებლო საფუძვლებზე და ფარგლებზე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით. ისაუბრა ამერიკის კონსტიტუციის პირველ შესწორებაზე, აგრეთვე მის საქმეში გამოყენებულ ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე. გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას კანდიდატს დამაჯერებლობა აკლდა, მაგალითად: კანდიდატს გაუჭირდა სამართლის, სამართლიანობისა და მორალის ცნებების განმარტება და მათ შორის განსხვავებების წარმოჩენა. ასევე, ვერ განავითარა დამაკმაყოფილებელი მსჯელობა სამართლიანობისა და თანასწორობის ურთიერთმიმართებაზე, ბავშვთა უფლებათა კოდექსიდან გამომდინარე საკითხზე და სხვა გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი მეტნაკლებად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას.

			სამართლის ნორმების ცოდნის შეფასების მიზნით შევისწავლე სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომლის მიხედვითაც ლაშა თავართქილაძეს აქვს კარგი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა სისხლისა და ადმინისტრაციულ სამართალში, ხოლო კერძო სამართალში ნაკლებ სიღრმისეულ ცოდნას ფლობს. კანდიდატი არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოქმედი მოსამართლე. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები. მათი გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ სამართლის ნორმები მართებულად არის გამოყენებული და განმარტებული. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლაშა თავართქილაძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლის ნორმების ცოდნის" კრიტერიუმში ლაშა თავართქილაძე უნდა შეფასდეს 16 (თექვსმეტი) ქულით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**17**	**20**	კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების ანალიზით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებითა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებებით. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატი მსჯელობისას უმეტესწილად იყო დამაჯერებელი, თუმცა გარკვეული შეკითხვებზე მსჯელობისას საკითხები სიღრმისეულად ვერ გააანალიზა. კანდიდატი აზრს ავითარებდა მკაფიოდ, თანმიმდევრულად, არგუმენტირებულად, თუმცა მის საუბარში შეინიშნებოდა ღელვა, რაც ვფიქრობ მსჯელობისას მთავარი ხელისშემშლელი გარემოება იყო. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. მათი გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის

			დასაბუთებული გადაწყვეტილება. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ერთ-ერთი რეკომენდატორის შეფასებით, ლაშა თავართქილაძეს გააჩნია კრიტიკული ანალიზისა და ლოგიკური აზროვნების უნარი. კანდიდატს აქვს მოსამართლედ მუშაობის 7 წლიანი გამოცდილება: 2014 წლის 27 მაისიდან გამწესდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტში 3 წლის ვადით. 2017 წლის 27 მაისიდან გამწესდა მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე ქობულეთის მუნიციპალიტეტში უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე; 2018 წლის 18 იანვრიდან გამწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე; 2019 წლის 18 სექტემბრიდან კანდიდატი არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლაშა თავართქილაძე ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ, ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის" კრიტერიუმში ლაშა თავართქილაძე უნდა შეფასდეს 17 (ჩვიდმეტი) ქულით.
წერის უნარი	**18**	**20**	კანდიდატის წერის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობით, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით და შედეგად ვასკვნი, რომ კანდიდატი გადაწყვეტილებაში კარგად ავითარებს მსჯელობას და ასაბუთებს მიღებულ გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილება მარტივად აღსაქმელია. მათში მნიშვნელოვანი გრამატიკული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. რეკომენდატორებიც უთითებენ, რომ კანდიდატს აქვს გამართული წერის მანერა. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კანდიდატი გადაწყვეტილების პროექტებზე მუშაობისას, საკუთარ აზრს გამოხატავდა

			სწორად, ნათლად და სიღრმისეულად ასაბუთებდა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლაშა თავართქილაძე ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,წერის უნარის" კრიტერიუმში ლაშა თავართქილაძე უნდა შეფასდეს 18 (თვრამეტი) ქულით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე საჯარო მოსმენის დროს კანდიდატზე დაკვირვებით, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით. კანდიდატმა გასაუბრებისას გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი. კანდიდატი მეტყველებს მკაფიოდ, გამართულად და აზრს გადმოსცემს გასაგებად, თუმცა საუბარში საკმაოდ შეინიშნებოდა ღელვა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატს შესწევს აზრის ნათლად და დამაჯერებლად ჩამოყალიბების უნარი. აგრეთვე ხასიათდება სხვისი აზრის მათ შორის, განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარით. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით ლ.თავართქილაძის კომუნიკაციის უნარი დადებითად არის შეფასებული. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლაშა თავართქილაძე ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარის" კრიტერიუმში ლაშა თავართქილაძე უნდა შეფასდეს 14 (თოთხმეტი) ქულით.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატის პროფესიული თვისებებისა და მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის შეფასებისას ვიხელმძღვანელე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ

			დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებით. ამ მონაცემების, ასევე საჯარო მოსმენისას მიღებული ინფორმაციის გაცნობისა და ანალიზის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ ლაშა თავართქილაძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არის პუნქტუალური და შრომისმოყვარე. აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების უნარი, დისციპლინირებული პიროვნებაა. სასამართლო სხდომებს სათანადოდ წარმართავს. მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ის ზრდილობიანი და კორექტულია. რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი არის საქმიანი, თავაზიანი, გულისხმიერი, შრომისმოყვარე, დამოუკიდებელი. სასამართლო სხდომებს უძღვება ეფექტურად. ვლინდება, რომ კანდიდატის მიერ განხილული საქმეები მომზადებულია ჯეროვნად. სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ ლაშა თავართქილაძეს საანგარიშო პერიოდში საპროცესო ვადების დაცვით მომზადებული აქვს საქმეთა - 95,5%, ხოლო ვადის დარღვევით 4,5%. ამავე პერიოდში, გადაწყვეტილებათა 97,7 მომზადდა ვადის დაცვით, ხოლო ვადის დარღვევით 2.3%. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის კუთხით, გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა გასაჩივრებულ საქმეთა 100%. საანგარიშო პერიოდში (1029 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 4325 საქმე, დღეში საშუალოდ 4,2 საქმემდე. ჩანს, რომ კანდიდატს გააჩნია სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, საქმის მომზადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადებისას ძირითადად პროდუქტიული და სწრაფია, რაც შესაბამისად ვლინდება საქმის განხილვის დადგენილი ვადების დაცვაში, რაც ასევე კანდიდატის შესაბამის მენეჯერულ თვისებებზე მეტყველებს. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლაშა თავართქილაძე ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მეორე პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში“ კრიტერიუმში ლაშა თავართქილაძე უნდა შეფასდეს 15

			(თხუთმეტი) ქულით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5	აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით. ლაშა თავართქილაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალობით. მას წარმატებით აქვს დასრულებული იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი. კანდიდატს გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი. ასევე, ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა და ნოტარიუსის საკვალიფიკაციო გამოცდები. წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ ის არის შრომისმოყვარე და ღია სიახლეების მიმართ, გააჩნია თვითგანვითარების უნარი, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა, რაც დასტურდება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესწავლისა და ანალიზის შედეგად. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლაშა თავართქილაძე ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მეორე პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის" კრიტერიუმში ლაშა თავართქილაძე უნდა შეფასდეს 3 (სამი) ქულით.
პროფესიული აქტივობა	3	5	პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესზე მასზე დაკვირვებით. კანდიდატს არაერთ სამართლებრივ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, შემდეგ თემებზე: სამოსამართლო ქცევა და ეთიკა - სემინარი. - სამართლიანი სასამართლოს უფლება, თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლება - სემინარი. - ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები -

			სემინარი. - მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით - სემინარი. - ადმინისტრაციული სამართალწარმოების აქტუალური საკითხები - სემინარი. - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა - სემინარი. - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (პრეცედენტები) - სემინარი. - ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები (ზოგადი კურსი) - სემინარი. - ხანდაზმულობის ვადები - სემინარი. - ადმინისტრაციული სამართალწარმოების აქტუალური საკითხები - სემინარი და სხვა. კანდიდატის სხვა სახის პროფესიულ აქტივობაზე ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ლაშა თავართქილაძე ძირითადად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მეორე პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული აქტივობის" კრიტერიუმში ლაშა თავართქილაძე უნდა შეფასდეს 3 (სამი) ქულით.
ქულათა ჯამი	**86**	**100**	

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

ხელმოწერა:

თარიღი : 27.05.2021